



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

6 მაისი 2011 წელი

ქ. თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:**

**თავმჯდომარე: ნატალია ნაზლაიძე
მოსამართლეები: ნათია გუჯაბიძე
ქეთევან მესხიშვილი**

I აპელანტი (მოწინააღმდეგე მხარე) – ლამარა ირემაშვილი

II აპელანტი (მოწინააღმდეგე მხარე) – მარინა კუჭუხიძე

მოწინააღმდეგე მხარეები – ნანა ბერაძე, დარეჯან კვერნაძე

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება**

დავის საგანი – დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**სააპელაციო პალატამ ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სამოქალაქო საქმეზე
№2ბ/9056-11 პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების გავრცელების
შესახებ საკითხი და**

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2ბ/905-11. I აპელანტი (მოწინააღმდეგე
მხარე): ლამარა ირემაშვილი; II აპელანტი (მოწინააღმდეგე მხარე): მარინა
კუჭუხიძე; მოწინააღმდეგე მხარეები: ნანა ბერაძე, დარეჯან კვერნაძე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ
მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება
სწავაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სარჩელში და პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში, ასევე სააპელაციო საჩივარში მოწინააღმდეგე მხარის – დარეჯან კვერნაძის საცხოვრებელი მისამართია – ქ. თბილისი, თემქა, მე-11 მკ/რ, 1-ლი კვარტალი, III-ე კორპუსი, ბინა №38, ხოლო ალტერნატიული მისამართია ქ. თბილისი, გლდანის „ა“ მკ/რ, კორპუსი 54, ბინა 96.

აღნიშნულ მისამართზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ არაერთხელ გაგზავნილი სასამართლო უწყება არ ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეს – დარეჯან კვერნაძეს. მისთვის არაერთხელ გაგზავნილ სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილებზე ჩაუბარებლობის მიზეზად აღნიშნულია, რომ მეზობლების განმარტებით ადრესატი მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

ამდენად, მოწინააღმდეგე მხარის – დარეჯან კვერნაძის ადგილსამყოფელი დაუდგენელია და ლამარა ირემაშვილისა და მარინა კუჭუხიძის სააპელაციო საჩივრების განსახილველად მთავარი სხდომის შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დებულებები, მიიჩნია, რომ ვინაიდან, მოწინააღმდეგე მხარის მისამართი უცნობია და მისთვის მთავარი სხდომის დღის შესახებ უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, მოწინააღმდეგე მხარეს დარეჯან კვერნაძეს სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის თარიღის (2011 წლის 18 მაისი 15⁰⁰ საათზე) შესახებ ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით. ამასთან, სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე, 285-ე და 390-ე მუხლებით და

დაადგინა

1. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვევა განხორციელდეს საჯარო შეტყობინების ფორმით; სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge).
2. სასამართლოს მთავარი სხდომა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დაინიშნოს 2011 წლის 18 მაისს 15:00 საათზე, რომელიც გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში დარბაზი №21 (მდებარე: ქ. თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7^ა);
3. 2011 წლის 18 მაისს 15:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვეულ იქნეს განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებული დარეჯან კვერნაძე.
4. განჩინება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებიდან მე-7 დღეს.
5. სხდომაზე დასაბარებელი პირი გაფრთხილებულ იქნეს, რომ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის შესაბამისად მის წინააღმდეგ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

თავმჯდომარე:

ნატალია ნაზლაიძე

მოსამართლეები:

ნათია გუჯაბიძე

ქეთევან მესხიშვილი